დადგენილება 15/2020 საგანგებო მდგომარეობის გამო სსიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო ვადების შესახებ

დადგენილება № 15/2020

22 მარტი, 2020

დადგენილება 15/2020 საგანგებო მდგომარეობის გამო სსიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო ვადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 მარტის N10 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აკადემიური საბჭოს 13/2020 დადგენილების 1-ლი პუნქტი.
2. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) საქართველოში გავრცელებასთან დაკავშირებით გამოცხადებული საგაგებო მდგომარეობის ვადის შეწყვეტამდე სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო-შემოქმედებითი პროცესი შეჩერდეს 2020 წლის 21 აპრილამდე.
3. მიმდინარე წლის 21 აპრილამდე დაიკეტოს კონსერვატორიის სამივე შენობა.
4. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სალექციო მეცადინეობები დასრულდეს 9 ივნისს.
5. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის საშემსრულებელო დისციპლინები დასრულდეს 30 ივნისს.
6. მაგისტრატურის საფეხურზე მისაღები გამოცდები ჩატარდეს 2020 წლის 27 ივლისიდან.
7. საკვალიფიკაციო გამოცდები ჩატარდეს 2020 წლის 1 ივლისიდან.

8. მასწავლებლის მომზადების 60კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მეორე სემესტრის მეცადინეობები ჩატარდეს სწავლის ჩვეული რეჟიმის განახლებისთანავე ინტენსიური ფორმატით 21 აპრილიდან 21 ივნისამდე.
9. 21 აპრილამდე სწავლის რეჟიმი და მასზე პასუხისმეგებელი პირების მიერ მონიტორინგი რჩება ძალაში № 13/2020 დადგენილების მიხედვით.
10. კონსერვატორიის თანამშრომლები აკადემიური, მოწვეული პერსონალი 60 წელზე მეტი ასაკის, ადმინისტრაციული პერსონალი, 21 აპრილამდე გადაყვანილ იქნას დისტანციურ და შეღავათიან სამუშაო რეჟიმზე.

11. საკონცერტო დარბაზებში აპრილის თვეში დაგეგმილი ყველა კონცერტი/სპექტაკლი გადაიდოს ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე. შეძენილი ბილეთებით სარგებლობა შესაძლებელია გადატანილ თარიღებში დანიშნულ კონცერტებსა და წარმოდგენებზე.
12. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
13. წინამდებარე დადგენილების განთავსება ვებ გვერდზე დაევალოს ვებ გვერდის ადმინისტრატორს www.tsc.edu.ge
14. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
15. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე